საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2740/01
22/03/2021

2740-01-2-202103221731

შპს „გუდაური სკი რესორტის“ დირექტორს

ბატონ ირაკლი მინაშვილს

მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მაყაშვილის ქ. N31

ელ. ფოსტა: vasilirexviashvili@yahoo.com

ბატონო ირაკლი,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 იანვრის N544 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თბილისის ზღვის ნაპირის ეროზიისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) ნაგებობის სკრინინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, საიდანაც გვეცნობა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის წყალსაცავის სანიტარული დაცვის ზონის მეორე სარტყელში. თბილისის წყალსაცავი წარმოადგენს წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს სისტემის განუყოფელ ნაწილს, რომლის სტატუსს არეგულირებს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 1 ოქტომბერს მიღებული N64-103 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესები“. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” წერილის თანახმად, კომპანია წინააღმდეგია თბილისის წყალსაცავის სანიტარული დაცვის ზონაში განხორციელდეს კანონით აკრძალული ნებისმიერი აქტივობა, რომელმაც შესაძლებელია პირდაპირ გააუარესოს ან შექმნას წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს წყლის ხარისხის გაუარესების საფუძველი და გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს დედაქალაქის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ზემოაღნიშნულ პროექტზე სამინისტრო იმსჯელებს დაგეგმილი საქმიანობის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" შეთანხმების და განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე